დასკვნა:**დ03. 3723088001**
თარიღი:**29/03/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შედგენილია საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 მარტის N4 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და მასში მოცემული ინფორმაციული მასალა, რეალურად ასახავს მუნიციპალიტეტში 2022 წელს განხორციელებულ შიდასტრუქტურულ ცვლილებებს და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარების მიზნით შესრულებული ღონისძიებების თვისობრივ ცვლილებებს.

3. წლიურ ანგარიშს თანდართული ზოგიერთი კაპიტალური პროექტის ამსახველი ფოტომასალა აუმჯობესებს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ეფექტურობის დადგენის შესაძლებლობებს.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით შესრულებულია. შემოსულობების ნაწილში კორექტირებული გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებელი გადაჭარბებითაა შესრულებული(გეგმა_61 660,5 ათასი ლარი, შესრულება_62 593,5 ათასი ლარი). მათ შორის: გადასახადების გეგმიური მაჩვენებელი 1063,3 ათასი ლარით არის გადაჭარბებული.

5. გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ისეთი მნიშვნელოვანი სახე, როგორიცაა „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 83.9%-ით. რამდენიმე პოზიციის ჯამური ოდენობის მიხედვით, როგორიცაა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის და სხვა, საბიუჯეტო შემოსავლების გეგმიურ მაჩვენებელს დააკლდა 515,2 ათასი ლარი.

_ საანგარიშო პერიოდში მერის სარეზერვო ფონდის გეგმიური ოდენობა _განსაზრვრული იყო 350,0 ათასი ლარით, ფაქტობრივად დაიხარჯა 131 871 ლარი, მათ შორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების დასაფარავად 57 981 ლარი, მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვის დახმარების გაწევის მიზნით 29 211 ლარი; სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტების შესაძენად დახმარების მიზნით ჩარიცხული თანხები შეადგენს 26 057 ლარს, სარიტუალო ხარჯების მიზნით გაწეული დახმარებები 1800 ლარს, განათლების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით დახარჯულია 6600 ლარი, უკრაინაში შექმნილი საომარი

მდგომარეობის გამო ჰუმანიტარული დახმარების მიზნით დახარჯულია 9722 ლარი.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის ანალიზისას იკვეთება შემდეგი ფაქტობრივი გარემოება_ მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია ამ ფონდის სოციალური მიმართულებით ხარჯვის ტენდენცია, მისი უდიდესი ნაწილი მაინც სოციალური მიმართულებით წარიმართება. სასურველია აღნიშნული გათვალიწინებული იქნას ბიუჯეტის შესაბამისი მუხლების დაგეგმვისას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში მთლიანობაში შედგენილია მოქმედი საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნების შესაბამისად. გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად არაა არსებითი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია

აღნიშნული საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი